

# საქართველო

სურათებიანი ლამაზობა

გაზეთის № 12

ლამაზობის № 3

კვირა, 17 იანვარი, 1916 წ.



წმ. ნინო. ნახატი ი. ნიკოლაძისა.



წმ. ნინო.

## ლოცვა

წმინდაო ნინო!

სევდის უდაბნო, ბნელ ნისლოვანი  
 გულში შეგვეჭრა, დაგვესადგურა!  
 სულის წალკოტი ყვავილოვანი  
 ყინვით დაგვიზრო, გაგვინადგურა!..  
 ათასი წლების ნაშენ-ნაშრომი  
 წალეკა დროთა გიჟურმა ღვარმა,  
 წარმართთა ღმერთი კვლავ ადგა მწყრომი...  
 ქართველის კერა დასუსხა ქარმა!..

დიდო იმედო, კვლავ დაგვიბრუნდი,  
 რომ სულის ციხე ჩვენ აღვიდგინო,  
 რომ მოაშორო გულს სევდის ხუნდი,  
 დედავ ქალწულო, წმინდაო ნინო!..

\*\*

მა, რა ხანია დავეძებ ქალსა—  
 ერის შევნებას, შევნების ნახატს!..  
 ბურუსი ზღუდავს მივბნელსა თვალსა,  
 არსადა ვხედავ ნანატრის კვალსა,  
 არსადა ვხედავ მე სალოცავ ხატს!..  
 არა სჩანს სატრფო, არა სჩანს დედა!  
 ლამაზ სხეულში განქარწყულდა სული...  
 ბრძოლა ვერ შესძლო, თუ ვერ გაჰბედა  
 და... ხსად გახდა ივერთ ასული!..

აქაც უდაბნო... კერა მიმქრალი...  
 უჭურუმქალოდ ცეცხლი ღვთიური...  
 კვლავ ქართველის ბედი პირქუშ-პირმწყრალი...  
 ღამისებური ყოფნა დღიური!..

ვიწვი შენს წინა, ერის სანთელი!  
 მზე სამშობლოსი კვლავ ჰყავ საჩინო  
 და აღვიდგინე მკვდრეთით ნათელი  
 დედა ქართლისა, დედაო ნინო!..


\*\*

ოჰ, არა, არა! მწამს დრო იცვლება!  
 ცა ნისლს გადიყრის, გაიწმინდება,  
 სიმწარის ჯამი მთლად დაიცლება,  
 სულის მზე ისევ ამობრწყინდება!..  
 გამოცოცხლდება კვლავ ყვავილნარი,  
 იმედი გულსა მთლად გააღიმებს,  
 ივერთ ასული, ტურფა ნარნარი,  
 კერაში ერის ცეცხლს გააღვივებს!  
 ნორჩი სიცოცხლე სწრაფის კვეთებით  
 მალე გაარღვევს შავბედი ზღუდეს,  
 უდაბნოს მორწყავს ცხოველ წვეთებით,  
 სევდა-კაემნის ამოსწვამს ბუდეს!..

გამოგვეცხადე, კვლავ დაგვიბრუნდი,  
 სულის სიმტკიცე რომ აღვიდგინო,  
 რომ მოაშორო ერს მიძიმე ხუნდი...  
 ჩვენო ჩვენთინა, წმინდაო ნინო!..

კ. მაყაშვილი.

ქართველი დიდებულნი



ქეთევან წაჩავაძელი.



თამარ მეფე.



რუსუდანი.

ნინო

მომავლობა, ნორჩ გულს ცეცხლი წამეკიდება, კლემის აღსავსემ მსურს ცისკრული უთხრა დიდება, თვალთ შემომხედდაც, სინარნარით მომერიდება, ის საიდუმლო მუდამ ასე გულში იდება და ორმა ვიცი: დრო გადის და ჩვენთვის ბრწყინდება.

სახის შევნებას ის არ ჰკარგავს... იწვის, — ახლდება! ჩემი ოცნება მასში არის, მას თან ახლდება! მან უკვე იცის, თუ ჩემს გულში ეხლა რა ჰხდება. რომ სამარქმდის არ მიჰყვარდეს, წყევლა ახდება, და ჩემი ჩანგი — მისი განძი — აღრე წახდება.

გულში რად ვნახე დაღვრემილი? რა ედარდება? როს სულთან ახლოს ჩამომივლის რისთვის მწარდება? იქნებ ჰგონია, სხვა სხვის ველტვი, — დარღვი ფარდება? უკვე ვაიგო, მისნურ გრძობით, ბედი მყარდება? სიციცხლე ცელქობს... გამიცინებს გამებარდება!

სანდრო შანშიაშვილი.

თავაგალი

უცები. 1. თავმადი ძმაო! გულის ნატვრა აღვსრულდება! შენი მამული, საქართველო, გაცოცხლებულა! გესმის გულგუნე! ერი შენი ევლს მოსდება! მისი სიმღერით ლაჩარცი კი გამხნეებულა! 2. ჩამოჰკარი სიმებს? ეგ შენი, ხმა ეგ მხენი ძახილი, ცეცხლს უკიდებდეს შენი ქვეყნის მამაცია გულგუნეს დაეხმოს პარქვე. ვისაც მოხვდეს შენი მახვილი! უსინანულოდ, უმოწყალოდ ჰკვეთდეს ორგულგუნეს! ია ქართველიშვილი

ალთაველი ჯვარი

ლექი ნ. ბაბიროვიძისა. როს გაზაფხულის ცხოველ ნამის ელვარებაში გარდაგფურჩენია სიქალწულე სამოთხის დარად: ზეშთაგონებით ავილია ორი რტო ვახს და ვადავიბამს თმის ნაწნავით ივერთა ფარად. ასე მომხდარა ძველის ღრობის განთიადისას, კლდე მტვრად გცეულა და მეგობარსაც ტანჯვა უნახავს; მას შემდეგ მრავალ საუკუნის განმავლობაში ალთქმული ჯვარი საქართველოს გულში უნახავს! ხელთნაწერიდან თარგმნილი ა. შ. — ლის მიერ.

გამოუსანა

ერთი რამე სანოვანე მწარეს უცებ ვაატეხილებს, ვისაც უყვარს ის უზომოდ. შეეტყობა მარტო კბილებს. იაფია სასყიდელად, ხან რალაცა ვააძვირებს. თუ ორ ასოს გამოაკლებ ზღვას შეებმის, ააყვირებს. კოწია ერისთავი.

კორილი

დღეს ქორწილი გვაქვს და სათითაოდ ყველამ მოიტად ვარდისა ტოტი, ზეიმს ვადვიხდით იქ, სადაც უწინ იწოდებოდა ივერთ წალკოტი. მალე დღეოდნის მოაცილებენ განთიადი და ანგელოსთ კრება, მას შავი ლევი წამს გაუთხარეთ, ვისაც ეს ლხინი არ ენატრება? მართალი არის, ბევრჯელ ცრემლებით ქალწულს დაწყვიტი მწვავედ დასწვია! სამაგიეროდ ეხლა ნახევით თეთრი ყვავილის კაბა აცვია! ი. დაროშვილი.

მოღვაწე ქალები



მარიამ დღღვალი.



წმ. მინო.

გალტასარის ნალიმი

(დასასრული) III. როცა დანიელმა კარი შეაღო, ყველას ერთგვარმა შიშის კრუნატვლა დაღრბინა. მოხუცი წინასწარმეტყველი, ქაბუქის გამომეტყველებით კარგბშივე გაჩერდა და რისხვის ისრებით თვალს არ აშორებდა ბალტასარს და ვლრსარს. — დანიელ, — შესძახა ელისარმა, — ახლოს მოდი, მეფეც მოსსურვა შენი ხილვა. — უკვე მომხსენდა, — იყო წყნარი პასუხი წინასწარმეტყველის მხრით. რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და გაჩერდა. ბალტასარმა გული მოიკა. — მამამან ჩემმან, დანიელ, შენც სხვებთან ერთად წარმოგატყვევა. ვიცი, რომ ის საშინელი სიზმარი, მამას პირველმა შენ აუხსენი. გულთამხილობა და საიდუმლოს ამოცნობა შენებრ არ უწყის არც ერთმა ქურუმმა და ბრძენმა, ვინც კი ქურუმად და ბრძენად ვიწამეთ მთელს სამეფოში. მამ გაგვაგებინე, დანიელ, რას ნიშნავს ეს წარწერა, რომელიც უცნაურმა ხელმა მოჰხაზა კედელზე. სიტყვი, ავგისხენი საიდუმლო და მე შეგმოსავ პორფირით, ოქროს მანიაკით მოვითავ ყელს და ჩემი სამეფოს მესამე მთავრობას გიწყალობებ. — მეფეც, პორფირი ნუ გინდა ჩემთვის. სისაწყულე შენი დიდფარე. ჯილდოდ წინასწარმეტყველთ დევნა და წამებაც გვეკმარვის. — ხომ წაიკითხავ ო წარწერილს? — დიხ, მეფეც, იგი უკვე წაიკითხე მაშინ, როდესაც მუტობინი ჩანგთა სიმით გვაგბრუებდნენ, როდესაც



მეფე მირიანი რომლის მეფობის დროსაც მიღებულ იქნა ქრისტიანობა.

წარმართობა შენი ასწვდა ცას, როდესაც... ბალტასარს გაათრთოლა და მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა. — იტყვი თუ არა, რა სწერია? — ვიტყვი, მეფეც, მოთმინება მათხოვე მხოლოდ: დემობთან მალამდიდება მისცა მამასა შენსა ნაბუ-ქლონოსორს. ყოველი ერი და ტომი მისი შიშით თრთოდნენ. სიციცხლე და სიკვდილი მის ხელთა ქვეშ იყო. ოდეს

აღმალდა გული მისი და სული განძლიერდა. გაამპარტავნებდა, შთამოქვეითდა და პატივყარილი კაცთავან დევნალი იქნა. შენ-კი, ძეო მისო, ბალტასარ, არ დაიმდაბლე გული შენი წინაშე ღვთისა, რომელმან ყოველი უწყლოდ. შენ განარისხე უფალი ღმერთი ცათასა და მის სახლის ქურქულით შენ და შენი დიდებულნი და თანამშროლო შენი ერთად ჰგვამდით. ბიწო ერების ნეტარს. ხელი ესე არს ხელი უფლისა და წარწერა იგი საშინელეებისა მომასწავი: შენე, თეკელ, ფარეზ, რაიკა ნიშნავს, რომ ღმერთმან განზომამ მეფობა შენი და ალავსო იგი, შემდეგ ასწონა ულლითა და აბოვა მოკლებულად, განიწვალა მეფობა შენი და მიეცა მიდთა და სპარსთა. ოქროს სამეფო შენი სინამდვილით თიხისა არის! აჰა, მოჰგორავს მწვერვალთ დაქანებული ლოდი და ვაი შენ; ბიწოერო, ახლოვდება აღსასრულის დღე! შენ და შენი თიხის სამეფო... მაგრამ ბალტასარს მოთმინების ძაფე გაუწყდა. შეძრწუნებული, სახე შეშლილი, როგორც განწირულით წამოჭორჩილი არწივი წამოიბუზა და ევლური ნახტომით მოულერა სიონიდან ნადავლო თასი, მაგრამ როდესაც შეგნინა წინასწარმეტყველის უშფოთვლობა და მის თვალთა უცნაური რისხვის მეტყველება, ხელი ჰაერში გაუყოვდა, თასი გაუფარდა და როდის-როდის, მართოლვარე ხმით გასცა ბრძანება: — წაიყვათ ეს ჩერჩეტი და მშვიერ ლომებს ჩაუგდეთ ორმომი! დარაჯნი მისცვიდნენ წინასწარმეტყველს, იგი უშფოთველად დაემორჩილა. მის წასვლისას გაჰქრა უცნაური ხელი და თვით წარწერაც ბალტასარმა მისამე გზობა განახლა. მეფისი, გიფური ალტაცება არყვედა დარბაზს, ხითხითი, არეული ხმები, ცეცხლი... ყველა ყვიროდა, ყველა ეჩინა დათრობას თხოულობდა. ქალი და კაცი ერთმანეთს ეხეოდნენ, ბალტასარიც ჰგორავო ნავდა კმაყოფილებით: — ეგრე, ეგრე, ჩემო უწინო სტუმარებო, იმზარულეთ ყველამ, ივემეთ ნეტარის სიტყვობა, სიციცხლე ვერ გაუსწრობთ, ისარგებლებთ ვითებით, ბედნიერებისა და თავდაუწყების წუთებით... ჰსეთ და ივემეთ სიონის თასთა და ფიალათა პირით ნაშეფერ ნეტარი. — და ბოლოს დაცინეთ ათაველად: — დაასწარით, ხომ იცით, რომ მისავალი მოხდება და ღმერთთა მართლმსაჯულებაც გამოიტანს ჩვენზე განაჩენს, ეს იმ ღმერთთა მართლმსაჯულება, რომელთაც ვერ იხსნეს ვერც ერთი ქვეყანა, ვისაც კი მამიჩემისა და ჩემი მახვილის წვერი მოხვდა. ხა-ხა-ხა-ხა-ხა! სიციცხლე და აციცხლედა ელისარსაც, იგი ენების ქურქულად გარდაიქცა. ორთავენი სიონის თასით თუ ფიკლით განაგებდნენ ნეტარის სმას, მხოლოდ შუალამის შემდეგ შესწვეტიტეს ხმაურობა. ბალტასარმა სტუმრები დაითხოვა. ქრაქები ჩააქრეს, ელისარმა გაუზიარა სარეცელი და ძალზე დადლილი, მოქანცული მიეშვა მის მკლავზე, როგორც გერმის ყურთუხვე და ღრმა, მკვერული ძილით ჩაეძინა. IV რიერაჟი ახლოვდება. ბაბილონის ციხე-კოშკის წვერები მალე კოკონს დაემზავსა. სიციცხლემ იფეთქა, ეფრატის ტალღებმა საამური ჩქეფა



ს. ო. ხაჩიძე.

დაქრილი და დაჯილდოვებული: პოდ-პორუჩიკის ჩინით სტანისლავის ხარისხის და წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯვრებით.

დაიწყეს. მხოლოდ ბალტასარის სამეფოში დაესადგურებინა უსიცოცხლო სიცოცხლეს. ერთი ფშვინვა და არღვევდა სამარისებურ იდუმლობას. ბალტასარს შუბლზე ოფლი მოჰხეთქოდა, გაფითრებულ სახეზე უცნაური მტყვევლება ებეჭდებოდა ხან უზომო ბედნიერებისა, ხან კი უსახლოო ტანჯვისა და გაწამებისა. იგი სიზმარშიც ცქრილა ელისარს უმზერდა შიშვლად მოცეკვავებს, მოკისკისებს, ვნებათა ნექტრით აღტყინებულს, როგორც სიცოცხლის სიცოცხლეს, მშვენიერების მშვენიერებას, წუთთა საუკუნე ბედნიერებას და სიკეკლუცის სიამაყეს.

— ელისარ, ელისარ, — ბუტბუტებდა ამ დროს ბალტასარ და თან მუხლზე მოხვეული ეთაყვანებოდა მას არა როგორც მხეველს, არამედ როგორც ისტარის ღვთაებრივ ქანდაკს, — მასვი შენ თასის ბედნიერება, მასვი დამათვრე...

მაგრამ ეს იყო წუთით. მეორე წუთს სანახაობის ეკრანზე ფირფიტა სხვა არშიას გამოუშვებდა და მოუვლენდა უცნაურ ხელს და საზარელ სიტყვებს: „შენე, თეკელ, ფარეზ“... შემდეგ ისევ კეკლუცი მხეველის ცეკვა იწყობოდა... ჰაეროვანი, მოკისკისე, მუდამ თვისკენ ეხატებოდა და ვარდათ ნაფურჩნი ბაგით სთავაზობდა უცნაურს ნექტარს ბედნიერებისას, რასაც ვერც ერთი სიონის ფიალა, ვერც ერთი ბახუსის თასი ვერ აგემებინებდა.

ამ წამებში იყო ბალტასარ, რომ უეცრივ გველნაკებენსავე წამოიჭრა და დაიკვილა. ირგვლივ სიკალიერე რომ შეჰნიშნა, შიშის ჟრუნტელმა დაურბინა. მხოლოდ ტურფა ელისარმა გაახსენა, რომ ის თავის სასახლეშია.

— მადლობა ღმერთებს, — წაიბუტბუტა გონს მოსულმა: სიზმარი იყო... შემდეგ ელისარს დაიკვირდა და ფიქრში წასულმა დაიწყო თავისთვის ჩურჩული:

— რაც უნდა იყოს, მაინც უბედურებას ვერ ავსცდები... წუხელის ის უცნაური ხელი, უცნაურივე წარწერა... ეხლა კიდევ განმეორება მამი-ჩემის საზარელი სიზმრისა... კლდე მოიკვეთა... კლდე დაეშვა... შუა გამწყვიტა... „თიხაა შენი სამეფო, — დამცინოდა დანიელის არჩილი, — შენი სამეფო დაინგრევა შენს თვალწინვე“...

კიდევ დასდუმდა. სახეზე მკუმნვარებამ გადაურბინა, უყურა, უყურა მძინარე მხეველს, თრთოლვით დაეკონა მის შუბლს და ფრთხილი, ჰაეროვანი ხმით, თითქოს ჰსურს და არცა ჰსურს, რომ ელისარს გაეღვიძოსო, მის ყურთან ნაზად წაიჩურჩულა...

— შენ მაინც გარეშე დარჩი, ჩემო

ძვირფასო ელისარ, ამ უჩინარ უბედურობას!

იდაყვ-დაყრდნობით ჩააცქერდა თვლებში და თან მკუმნვარე ფიქრით ისერავდა მთელს სულის სიღრმეს. უზომოდ იტანჯებოდა, უზომოდ მწუხარებდა, გამოურკვეველი შიში სასოებას უკვეთავდა.

— აჰ, რომ გამოჩნდებოდეს, იქნებ მაშინ...

გაივლო გულში, მაგრამ ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ დამფრთხალი, სახე შემოიღირ და რაჯები შემოიჭრნენ:

— მეფე, კირუსი... კირუსი ანგრეგს შენს სამეფოს... უშველე თავსა!

ბალტასარი წამოხტა. შუბით პირველ დარაჯსავე გაუპო თავის ქალა და შეუძახა:

— რა გაღრიალებს შე პირუტყვო, ვერა ჰხედავ, ელისარს სძინავს?

ყველაფერი მაგრად მიჰკეტა და ელისარისკენ გამოქანდა. დიდის მზრუნველობით შიშველს მარამაშის ლეჩაქი წაახურა არ გაცივდესო, შემდეგ გულზე ყელსაბამის წითელი იაგუნდი შეუსწორა, რომ მის ელვარებას უფრო ღვთაებრივი მშვენიერებით შეემოსნა მისი მხეველი.

— ნურმცა ჰქმნან ღმერთებმა, რომ შენზე რაიმე უბედურობა მოიღონ, — სიტყვა ნეტარებით გაბრუებულმა ბალტასარმა, რომლისთვის ელისარის იქით აღარავითარი შიში სიკვდილისა და ზრუნვისა არ არსებობდა, — შენ იცოცხლე, ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო და მე გავხდები შენი მსხვერპლი.

ხელ ახლად დაეკონა. კარში კი ხმაურობა არ სწყდებოდა. ლეწვა გაძლიერდა. სასახლეს ცეცხლი მოედო. ელისარი წამოფრთხილდა.

— მეფე, მეფე... შეპკივლა განწირულებით.

— არაფერია, ჩემო კარგო, არაფერი!.. აი, მომეხევი... ვის შეუძლიან ხელი გახლოს...

ელისარ კალაში ჩაუვარდა და უმწყო ბავშვსავით აცახცახდა:

— მეშინიან... მეშინიან... ალლოთივე მიხედა უბედურობის აუცილებლობას:

— ახლა... აცხადდა... ხელი... ის წარწერა... სიზმარი... ყოველისფერი აცხადდა... ყოველისფერი...

— ტყვილად შიშობ, ელისარ, წინასწარმეტყველიც და მისი ღმერთიც შემედარან თუ იფიქრეს ჩვენზე გამარჯვება: შენ ჩემი იქნები... ოქროს სამეფოს ერთად ჩავეყვებით სამარეში... შიში მხოლოდ უცნობის საიდუმლო მოლოდინია. რაწამს მას ფარდა აეხდება, თავისთავად ფერი ეცვლება და მხოლოდ სასაცილო სანახაობად რჩება. მეც დავცინი, ელისარ, დავცი კირუსს, თუ კი მით მაშინებდა საიდუმლო...

ელისარმაც გული მოიკა. მოეხვია და გაშმაგებით დაუწყო კოცნა, რომ ნეტარებით გაბრუებულიყო და არ სცოდნოდა თუ რა ჰხდებოდა მის გარშემო.

— ჰო, აი ასე... კიდევ მეშინიან? შეეკითხა ბალტასარა.

— არა... შენთან სიკვდილი არ იქნება... იმიტომ, რომ... უკვდავება ხარ...

ნეტარებით წარმოსტყვა ელისარმა.

ბალტასარ აღტაცებაში მოვიდა. სიკვდილის აპოთეოზი ხანუკარ სანახაობად წარმოუდგა და იმ დროს, როდესაც ელისარ თავდავიწყებით ჩაეკონა უკანსკენელად, თრობამ წარილო, ზმნების ბურუსში გაეხვია და ნეტარებით აჩურჩულდა:

— ახ, რა კარგია... რა კარგია ასე სიკვდილი...

წუთიც და ცეცხლმოდებულმა ჭერმა დაიწყო ჩამოცვივნა. ბალტასარ ამას ვერ ამჩნევდა. ელისარს გულზე იხუტებდა, ჰკოცნიდა და თვითელს გამაბედნიერებელს წუთს ევედრებოდა მთრთოლვარე ხმით:

— შესდექ, ოჰ, წუთო, შენ თვითონ ხარ მარადისობა...

ელისარსა როს კი ხმა მისწვდებოდა. გაბრუებული მიშვეებულიყო მის მკლავზე, თვალეები მიელუნა, ოდნავ შეცრეცილ სახეზე უცნაურს ღმილის იერი გადაჰკვროდა და უხმოდ ერთსა და იმავეს ევედრებოდა თვის მეფეს:

— ოჰ, ერთხელ კიდევ... ერთხელ კიდევ...

V

უკვე კარგა ზოთენებული იყო. გამარჯვებული კურასის ჯარისკაცები მართლა ისე ამსხვრევდნენ ბალტასარს

რის სამეფოს ციხე-კოშტაროვით თიხის ჭურჭელს. ამაყი, ზვიადნი არხინად მოაქნებდნენ ტურფა ბედურებს ყოფილ სამეფოს ნანგრევებზე. შუბის წვერზე ბაბილონელთა დაჭრილი თავები წამოეგოთ, კისკასებდნენ, მღეროდნენ და თვისთან ერთად ახალისებდნენ ომის ღმერთსა. სპილოთა რაზმიც ფრთქვენივთ არღვევდა სისხლის ტბორსა და გვამების კედელს. დასისხლიანებულ ეშვების ზემოდ ხორთუმები ტაროტოტოსავით მალა აეწიათ და ომხივარის ქარბუქით გამარჯვებას აუწყებდნენ ძოწეულით შემოსილს ზეკას. თვითონ კირუსი კი თეთრს მერანს მოათამაშებდა და მის ფრთქვენა — ტორების ცემაზე გალაღებულ რაინდებს ხან აქ და ხან იქ უძახოდა მჭეკარე ხმითა:

— ამას ხომ მოგრივთ, ახლა ვეფხვნო, საბერძნეთისკენ გავკრათ გეზი, საბერძნეთისკენ.

ჯარისკაციც ფარ-შუბს აჩხარუნებდნენ მოწონების ნიშნად და თან მთვრალურ ყიჟინით გადასცემდნენ ერთი-ერთმანეთს:

— სა ბრძენეთისკენ... საბერძნეთისკენ...

დ. კასრაძე.



კარიკატურა მეგროსი.

სოხუმის ქალაქის თავი

ნიკო თავდგირიძე:

ვეიცავ, ერთობა ჩვენთვის ტახტია, „ქმნა სამართლისა“ კარგი ლახტია! სულ სხვისთვის ზრუნვა დიდად მარგია, დავკარგოთ, რაც კი დასაკარგია! ამით ჩვენს სულსა ვაცხონებთ მარად, „მათ ვეტრფი მარად, მათ ვეტრფი მარად!“